

ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.


1. რით გამოირჩეოდნენ ასურელები უძველეს ხალხთა შორის?

- ა) ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა პირველ მიწათმოქმედებად აქცია;
- ბ) გამუდმებული ომების გამო საუკეთესო მეომრებად ჩამოყალიბდნენ;
- გ) დააარსეს სავაჭრო კოლონიები ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე;
- დ) შექმნეს იმ დროისთვის საუკეთესო ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე.

2. რამ გამოიწვია ათენის მეთაურობით „საზღვაო კავშირის“ შექმნა?

- ა) რომაელთა შემოჭრის საფრთხემ;
- ბ) ფინიკიურმა კოლონიზაციამ;
- გ) მეკობრეთა თავდასხმებმა;
- დ) სპარსელებთან ომებმა.

3. რომელი ისტორიული პროცესის შედეგია ასახული რუკაზე?



- ა) სარგონ დიდის თავდაპირველი დაპყრობების;
- ბ) აქემენიანთა ირანის ტერიტორიული გაფართოების;
- გ) ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის;
- დ) სელევკიდების სამეფოს შინაომების დასრულების.

4. რომელი მსჯელობაა მართებული ვესტგოთების მიერ 410 წელს რომის აღებასთან დაკავშირებით?

ა) ეს იმპერიის დასასრულის დასაწყისი იყო, რადგან სახელმწიფო ბარბაროსთა შემოსევებს ვეღარ უმკლავდებოდა;

ბ) ეს მნიშვნელოვანი გარდატეხა იყო, რადგან ბარბაროსებს რომის არმიაში სამსახური აეკრძალათ;

გ) ამან განაპირობა მათი შემდგომი ლაშქრობა სიცილიაში, სადაც თავიანთი პირველი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს;

დ) ამის წინაპირობა რომულუს ავგუსტუსის მიერ გამოცემული ედიქტი იყო, რომელიც ბარბაროსებს გაქრისტიანებას ავალებდა.

5. რა შედეგით დასრულდა ირანისთვის „დიდი ომიანობა“ ეგრისში?

- ა) შავ ზღვაზე გასასვლელი მიიღო;
- ბ) ეგრისი ბიზანტიის გავლენის სფეროდ აღიარა;
- გ) კავკასიაში ციხე-სიმაგრეთა სისტემის მშენებლობა შეწყვიტა;
- დ) იძულებული გახდა, ადგილობრივი ხელისუფლების აღდგენა ეცნო.

6. რაში გამოიხატა პატრიკოს სერგი ბარნუკის ძის ანტიბიზანტიური პოლიტიკა VII საუკუნის მიწურულს?

- ა) დასავლეთ საქართველოში ხაზართა ჯარები შემოიყვანა;
- ბ) შეუერთდა ქართლის ანუ იბერიის მეფის აჯანყებას;
- გ) შეიფარა მწვალებლებად გამოცხადებული მონოფიზიტები;
- დ) ეგრისი ანუ ლაზიკა არაბთა გავლენას დაუქვემდებარა.

7. რის მოსაწესრიგებლად შეიქმნა „სააჯო კარი“?

- ა) ვაჭრობა-ხელოსნობის;
- ბ) სწავლა-განათლების;
- გ) მართლმსაჯულების;
- დ) საეკლესიო ცხოვრების.

8. როგორ დასრულდა მონღოლთა პირველი ლაშქრობა საქართველოში?

- ა) დაიპყრეს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო;
- ბ) გამარჯვების შემდეგ კავკასია დაყვეს დუმნებად;
- გ) იძულებული გახდნენ, ზავი დაედოთ საქართველოსთან;
- დ) ქართველებთან ბრძოლის შემდეგ დატოვეს სამხრეთ კავკასია.

9. რამ აიბულა ჯალალ-ედ-დინი, დაეტოვებინა ხორეზმი?

- ა) თემურლენგის ლაშქრობებმა;
- ბ) მონღოლებთან ომმა;
- გ) სელჩუკთა შემოსევებმა;
- დ) ყივჩაღთა თავდასხმებმა.

10. რატომ გაიზარდა საფრანგეთში გენერალური შტატების მნიშვნელობა ასწლიანი ომის დროს?

ა) მეფე ტყვედ ჩავარდა და შექმნილი ვითარების გამო სახელმწიფოს მართვა გენერალურ შტატებს მოუწია;

ბ) მეფეს ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებოდა, გადასახადების საკითხს კი გენერალური შტატები წყვეტდა;

გ) თავისუფალი მოქალაქეებისა და მიწათმოქმედების ჯარში გაწვევა მხოლოდ გენერალური შტატების პრეროგატივა იყო;

დ) საზოგადოების ერთიანობის შესანარჩუნებლად გადაწყდა, რომ ახალ მეფეს გენერალური შტატები აირჩევდა.

11. რომელი ქალაქი იქცა რენესანსის ეპოქის უმთავრეს კულტურულ ცენტრად ევროპაში?

ა) კორდობა;

ბ) ფლორენცია;

გ) აახენი;

დ) როტერდამი.

12. რა იყო 1526 წელს გამართული მოჰაჩის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი?

- ა) ოსმალებმა ალყა მოხსნეს ავსტრიის დედაქალაქს;
- ბ) საღვთო რომის იმპერიამ შეაჩერა ოსმალთა წინსვლა;
- გ) ოსმალებმა დაიპყრეს უნგრეთის ტერიტორია;
- დ) ბალკანეთი გათავისუფლდა ოსმალთა უღლისგან.

13. როგორ მოიპოვეს XVII საუკუნეში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებმა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა?

- ა) უსასყიდლოდ მკურნალობდნენ ავადმყოფებს;
- ბ) შემოიტანეს ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო იარაღი;
- გ) დაიწყეს ტყვედ წაყვანილთა სამშობლოში დაბრუნება;
- დ) დაეხმარნენ ახალი ტიპის მანუფაქტურების მოწყობაში.

14. რა ევალუბოდათ ვახტანგ VI-ის მიერ შეკრებილ „სწავლულ კაცებს“?

- ა) „ვეფხისტყაოსნის“ შესწორება და გამოცემა;
- ბ) „ქართლის ცხოვრების“ გამართვა და გადამუშავება;
- გ) „დასტურლამალის“ შევსება და რედაქტირება;
- დ) „სიტყვის კონის“ შედგენა და გავრცელება.

15. რამ განაპირობა 1757 წელს მეზობელი სახელმწიფოს ჯარის საქართველოში შემოჭრა?

- ა) სოლომონ I-ის ანტიოსმალურმა პოლიტიკამ;
- ბ) თეიმურაზ II-ის რუსეთში გამგზავრებამ;
- გ) ერეკლე II-ის მიერ ირანისთვის ხარკის შეწყვეტამ;
- დ) სოლომონ II-ის მიერ ევროპაში ელჩების გაგზავნამ.

16. სახელმწიფო მმართველობის როგორი ფორმა გამოცხადდა 1791 წლის სექტემბერში საფრანგეთში?

- ა) აბსოლუტური მონარქია;
- ბ) საპარლამენტო რესპუბლიკა;
- გ) კონსტიტუციური მონარქია;
- დ) საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

17. რა იყო ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი?

- ა) სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სუეცის არხის დაკავება;
- ბ) ინგლისისათვის კოლონიებთან დამაკავშირებელი გზის მოჭრა;
- გ) საფრანგეთის უზრუნველყოფა ხორბლის მარაგით;
- დ) სავაჭრო ფაქტორიებზე მამლუქთა თავდასხმების აღკვეთა.

18. რამ შეუშალა ხელი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ 1800 წლის დეკემბერში ხელმოწერილი მანიფესტის ამოქმედებას?

- ა) გიორგი XII-ს სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრე დავითის სამეფოს გამგებლად დანიშვნამ;
- ბ) ქართველი არისტოკრატის საპროტესტო წერილის გაგზავნამ საიმპერატორო კარზე;
- გ) პოლონეთში დაწყებულმა დიდმა ანტირუსულმა აჯანყებამ;
- დ) შეთქმულთა მიერ იმპერატორ პავლე I-ის მკვლელობამ.

19. რა მოჰყვა შედეგად 1804 წელს გენერალ ციციანოვის ჯარით შესვლას იმერეთში?

- ა) რუსეთის ჯარმა ოსმალთაგან გაათავისუფლა შორაპნისა და ქუთაისის ციხეები;
- ბ) იმერეთისა და რუსეთის ჯარებმა ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს;
- გ) იმერეთის მეფე იძულებული გახდა, დათანხმებულიყო რუსეთის ქვეშევრდომობას;
- დ) რუსეთის ჯარმა დაამარცხა იმერეთის ჯარი და სამეფო გაუქმებულად გამოცხადდა.

20. რა სახის უმნიშვნელოვანესი განსხვავება არსებობდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის, რომელმაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყო აშშ-ში სამოქალაქო ომის დაწყებას?

ა) კონფესიური;

ბ) ბიუროკრატიული სისტემის;

გ) ეთნიკური;

დ) ეკონომიკური მოწყობის.

21. რა იყო თერგდალეულთა მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება?

- ა) დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება;
- ბ) ქართული სკოლებისა და თეატრის დაფინანსება;
- გ) საერთო ეროვნული შეთქმულების მომზადება;
- დ) ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნა.

22. რომელ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებით დაიწყო პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული სამხედრო ბლოკის შექმნა?

- ა) გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს;
- ბ) ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას;
- გ) იტალიასა და ოსმალეთს;
- დ) ოსმალეთსა და გერმანიას.

23. რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო გენერალმა კვინიტაძემ 1921 წელს საბჭოთა რუსეთთან ომის დროს მთავარსარდლის პოსტზე ყოფნისას?

- ა) ბრძანა დედაქალაქის დატოვება;
- ბ) გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია;
- გ) დახმარება სთხოვა თეთრგვარდიელებს;
- დ) ერთადერთმა არ მოაწერა ხელი კაპიტულაციას.

24. რას მოითხოვდა ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი, რომლებსაც „ნაციონალ-უკლონისტები“ უწოდეს?

- ა) საქართველოში არსებული ავტონომიური რესპუბლიკების გაუქმებას;
- ბ) საქართველოს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკაში გაერთიანებას;
- გ) საქართველოში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დროებით ლეგალიზაციას;
- დ) საქართველოს პირდაპირ შესვლას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

25. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა ესპანეთის სამოქალაქო ომში გენერალ ფრანკოსა და მისი მომხრეების გამარჯვება?

- ა) ჰიტლერისა და მუსოლინის აქტიურმა მხარდაჭერამ;
- ბ) სტალინისა და მათ ძე-დუნის ჩაურევლობამ;
- გ) ჩერჩილისა და დალადიეს ანტიკომუნისტურმა პოზიციამ;
- დ) რუზველტისა და ჩემბერლენის პასიურმა ნეიტრალიტეტმა.

26. რომელი მსჯელობაა მართებული ე.წ. დაშოშმინების ანუ დაყვავების პოლიტიკასთან დაკავშირებით?

- ა) ამ პოლიტიკით აშშ ცდილობდა წინ აღდგომოდა იაპონიის ინტერვენციას წყნარ ოკეანეში;
- ბ) ამას იყენებდა იტალია საკუთარი ტერიტორიული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად;
- გ) მისი მეშვეობით დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ევროპაში გერმანიის აგრესიის შეჩერებას;
- დ) ამ გზით სსრკ ცდილობდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დამორჩილებას.

27. რომელი მსჯელობაა მართებული სსრკ-ფინეთის ომთან დაკავშირებით?

- ა) ფინეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, თუმცა დაკარგა ტერიტორიის ნაწილი;
- ბ) საბჭოთა კავშირმა მხოლოდ დროებით მოახერხა მთელი ფინეთის ოკუპაცია;
- გ) ფინეთის ხელისუფლებაში ადგილობრივი კომუნისტები მოვიდნენ;
- დ) საბჭოთა კავშირი დამარცხდა და ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

28. რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა გერმანიასთან ომის დასაწყისში საბჭოთა დაზვერვის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომ იაპონია არ აპირებდა სსრკ-ზე თავდასხმას?

ა) საბჭოთა კავშირმა მოკავშირეებს სთხოვა, რომ ლენდლიზი შორეული აღმოსავლეთის გზით განხორციელებულიყო;

ბ) საბჭოთა კავშირი მანჯურიაში შეიჭრა და სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას;

გ) საბჭოთა კავშირმა შორეული აღმოსავლეთიდან გადმოსროლა დივიზიები და მოსკოვთან მიმდინარე ბრძოლაში ჩააბა;

დ) საბჭოთა კავშირმა მთელი სამრეწველო საწარმოები შორეულ აღმოსავლეთში გადაიტანა, სადაც განაახლა სამხედრო ტექნიკის წარმოება.

29. რატომ ჩაება აშშ XX საუკუნის 60-იან წლებში ვიეტნამში მიმდინარე ომში?

ა) საბჭოთა კავშირმა ჩრდილოეთ ვიეტნამში საკუთარი სამხედრო ბაზები განათავსა და აშშ-ს მოკავშირეებს დაემუქრა;

ბ) სამხრეთ ვიეტნამის სოციალისტურმა მთავრობამ სამხედრო მოქმედებები დაიწყო ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ;

გ) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აგრესიისგან დაიცვა ჩრდილოეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა;

დ) დახმარება აღმოუჩინა ჩრდილოეთ ვიეტნამელი კომუნისტების წინააღმდეგ მებრძოლ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებას.

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქრისტიანობის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.

1. ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარება
2. ხატმებრძოლობის დასრულება
3. „მილანის ედიქტის“ გამოქვეყნება

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რუსეთში XVI საუკუნეში მომხდარი მოვლენები.

1. ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობა
2. ლივონიის ომის დასრულება
3. მეფის ტიტულის შემოღება

32. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები.

1. სტალინგრადის ბრძოლა
2. იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე
3. ოპერაცია „ოვერლორდი“

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33-34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. № 33 დავალების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო № 34-ის - 4.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 33.

1



2



ორივე ილუსტრაცია ასახავს ევროპაში განვითარებულ ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესს.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **33.1.** დაასახელეთ კონკრეტული ისტორიული პიროვნება, რომელიც გამოსახულია №1 ილუსტრაციაზე.

(1) **33.2.** №1 ილუსტრაციაზე არსებული რა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა ისტორიული პიროვნების ვინაობის შესახებ?

(1) **33.3.** რა ეწოდება ისტორიულ პროცესს, რომელიც დაიწყო №1 ილუსტრაციაზე ასახული ფაქტით, გავრცელდა სხვა სახელმწიფოებშიც და გარკვეულწილად გამოიწვია №2 ილუსტრაციაზე ასახული მოვლენა?

(1) **33.4.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიაში №2 ილუსტრაციაზე ასახული მოვლენა?

(1) **33.5.** შეაფასეთ №1 ილუსტრაციაზე ასახული მოვლენით დაწყებული პროცესის მნიშვნელობა ევროპის ისტორიისთვის. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

დავალება 34.

რუსთაველის თეატრი

მუდმივი ქართული თეატრის არსებობის
73 წლის შესრულების გამო

სამუშაოს, 1923 წლის იანვრის 2-ს

ს ა ზ ე ი მ თ ვ ა რ მ თ ჯ გ ე ნ ა

დიდათ დამსახურებულ მსახიობთა: ალექსანდრე სუმგათა-
შვილი-იუჟინის, მარია სოფაროვა-აბაშიძის, ვანო აბა-
შიძის და დამსახურებულ მსახიობთა: ვუჟეძია მესხის,
ვლისაბუღ ჩეჩუაშვილის, ნინო ჩხეიძის, ქეთევან ანდ-
რონიძეშვილის, ვიქტორ გავრუაშვილის მონაწილეობით:

მ უ რ ა ზ ა ნ ტ ო ნ ო ე ი ს

მზის დაბნელება
სამედიკინო მუშაობის

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **34.1.** რა სახის ბეჭდური პროდუქციაა ასახული ილუსტრაციაზე?

(1) **34.2.** დაასახელეთ პარტია, რომლის მმართველობის პერიოდშიც არის შექმნილი ილუსტრაციაზე ასახული ბეჭდური პროდუქცია.

(1) **34.3.** ახსენით ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე დაასახელეთ პოლიტიკური პარტია.

(1) **34.4.** რომელი მოვლენის აღსანიშნავად არის გამოცემული ილუსტრაციაზე ასახული ბეჭდური პროდუქცია?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

35. ფარნავაზის რელიგიური პოლიტიკა

ქართლის მეფე ფარნავაზმა არაერთი სახელმწიფო რეფორმა გაატარა, მათ შორის, რელიგიური. მან ახალი კერპი, უზენაესი ღვთაება - არმაზი შემოიღო. მეფის გარემოცვის ერთი ნაწილის აზრით, მათ ძველი კერპები უნდა გაენადგურებინათ, ხოლო მეორენი მათი შენარჩუნების მომხრენი იყვნენ.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ძველი კერპების განადგურების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ძველი კერპების განადგურების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

36. კონსტანტინოპოლის დაცემა

1453 წელს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს. ბიზანტიის იმპერატორის კარზე გაჩნდა მოსაზრება, რომ დახმარება რომის პაპისთვის ეთხოვათ. დიდებულების ერთი ნაწილი მომხრე იყო ამ მოსაზრებისა, მეორე ნაწილი კი - წინააღმდეგი.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც დახმარების თხოვნის მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.


მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც დახმარების თხოვნის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.


ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე უპასუხეთ დასმულ კითხვებს

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ კონკრეტული ისტორიული პიროვნება, რომლის ლაშქრობებიცაა ასახული რუკაზე.

(1) **37.2.** რუკის მიხედვით, რომელი უცხო სახელმწიფოს დედაქალაქი არ დაულაშქრავს პიროვნებას, რომლის დაპყრობებიცაა ასახული რუკაზე?

(1) **37.3.** რუკაზე აღნიშნულ სახელმწიფოში დაასახელეთ ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი.

(1) **37.4.** რუკის მიხედვით დაასახელეთ სამი ქალაქი, სადაც გაიმართა აჯანყებები.

(2) **37.5.** რომელი სახელმწიფო დამარცხდა ანგორის ბრძოლაში და რუკის მიხედვით, რატომ იყო ეს ბრძოლა გამარჯვებული მხარისათვის მნიშვნელოვანი?

(2) **37.6.** რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელდა რუკაზე ნაჩვენები ლაშქრობა ჩრდილოეთის მიმართულებით და რომელ ქალაქებზე იყო მიტანილი იერიში ამ ლაშქრობისას?

ინსტრუქცია დავალებისთვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

დიმიტრის, შეტაკებაში მხნესა და ბრძოლაში მძლეს, ორი ძე ყავდა. მარჩევალი იყო უმცროსი ძისა. გაიარა ცხოვრება და მიაღწია სიბერეს. აღიკვეცა ბერად. გამეფდა მისი ძე დავითი და იმეფა ექვსი თვე. ვედრების შემსმენელმა ღმერთმა დავითის დღეები შეამოკლა და მამის დღეებზე ადრე დაასრულა. მამამ სასურველი ძე თავისთან აღამაღლა და მოსაყდრედ გამოაჩინა. ამ უკანასკნელმა შვიდი სამეფოს შარავანდედი მიიღო და აღიჭურვა ქრისტეს რჯულის მოწინააღმდეგეების შესამუსრად. დიდ და სახელგანთქმულ ქალაქ დვინს მიადგა, აიღო და დაიპყრო. ტყვეებისა და საუნჯის სიმრავლემ ველები და მთები დაფარა. ისევ ინება გალაშქრება და მიმართა დიდ ქალაქ ანისს. სამი დღე გაატარა ცხარე ომში და

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ხელთ იგდო ქალაქი. ივანე ორბელი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი დატოვა გამგებლად, დამხმარედ სარგის მხარგრძელი განუმწესა.

მეფე ზოგჯერ, ზამთრის პერიოდში, ლიხთიმერეთს გადავიდოდა და პონტოს ზღვამდე მიდიოდა. გადმოვიდოდა და ინადირებდა ალანთა ქვეყანაში. ზოგჯერ კასპიის ზღვამდე მიდიოდა. ასე მეფობდა და იხარებდა ოლიმპიელი ღმერთების მეუფებით. ვინაიდან სამეფოს ლაშქარი და დიდებულები უსაქმოდ იყვნენ მეფემ ამნაირად გაილაშქრა: ლიხს-იქით მყოფმა ერთი დრო დანიშნა და ტაოელებს, კლარჯებს და შავშელებს ოლთისის მიმდებარე ქვეყნების დარბევა უბრძანა; მესხებს და თორელებს - კარისა და აშორანისა: ამირსპასალარს მტკვრის აქეთ განძამდე;

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

თვითონ ლიხთ-იმერლებთან და ქართლელებთან ერთად - განძის ქვემოთ მტკვრის პირი; ჰერებსა და კახელებს - ალაზნის შესართავიდან ვიდრე შარვანამდე. ისეთი ლაშქრობა შეიქმნა, რომელიც აქამდე არავის ენახა.

მთელი ქვეყნისა და ამქვეყნიური ცხოვრების ამგვარ სრულყოფილებაში გაიზარდა მეფის ძმისწული, მისი უხუცესი ძმის, დავითის შვილი სახელით დემეტრე. გარეგნობით ლამაზი, ყოველ საქმეში მარჯვი, ნასწავლი. მაგრამ როგორც მამამისმა დავითმა უღალატა და განუდგა რა თავის მამას, ამოწყვიტა ამ სამეფოს დიდებულთა ნაწილი. ახლაც ეშმაკი შეუჩნდა ამის გულს და გონებას. განუდგნენ მეფეს მასთან ერთად ორბელები და მათი მომხრეები: სამცხელები, ჰერები, კახელები და ორბელთა ყველა ქვეშევრდომი.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

შეიქმნა ბრძოლა, ხოცვა, სისხლი და რბევა. მეფემ, მძლეთა მძლემ, ლაშქარი შეკრიბა და ქალაქ ტფილისიდან სომხითის მთებში მყოფ მტრებს შეუტია, დაიფრინა, გააქცია, ლორეს ციხეში შეკეტა და ყველა სხვა ციხე და სიმაგრე წაართვა.

დემეტრეს ჩამოშორდა ორბელთა ახლობელი სარგის მხარგრძელი შვილით და ძმისწულთან ერთად. მეფემ ტკბილად და სიყვარულით მიიღო იგი და მისი შესაფერისი ნდობა გამოუცხადა.

მეფემ მოარბია ტაშირი და აგარაში დაიბანაკა. გაგზავნა ლაშქარი: მესხები, თორელები, ქართლელები და თვით თავისი გაზრდილი მეჯინბეთუხუცესი ჭიაბერი ჰერეთში.

იმ მხრიდან მოვიდნენ ჰერეთის ერისთავი და ყველა ჰერი, ლეკებითა და ჩრდილო კავკასიელებით და შეიქმნა ფიცხელი ომი. გაიმარჯვა მეფის ლაშქარმა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მაშინ აგარაში მყოფი მეფე დაიდრა და ლორეს მიადგა. იქიდან სპარსეთში წასული იყვნენ ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე და მეჯინბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომლებიც მეფის მიერ იყვნენ ხელდასხმულნი და მათთან ერთად ანანია დვინელი დახმარების საძებნელად. ლორეში მდგომებს ძალა გამოეცალათ. დემეტრე ციხიდან გამოიპარა და თავის ბიძას მიაშურა. მეფემ ლორე აიღო. ციხეში დარჩენილი ამირსპასალარი და სხვები ციხიდან გამოიყვანეს. მეფემ მტრებს მათი საქმეების შესაფერისი მისაგებელი მიაგო. თვითონ ნაჭარმაგევში მოვიდა და მტრებზე რისხვის დამცემი, იხარებდა და იშვებდა.

ამის შემდეგ მეორე წელს მთელი სამეფო შეყარა. მოიწვია თავისი ცოლი და შვილი. პატრიარქის და ეპისკოპოსების, იმერი და ამიერი დიდებულების, ვაზირების, სპასალარებისა და სპასპეტების თანადგომით მეფედ გამოაცხადა შვილი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

კითხვები:

- (1) **38.1.** დაასახელეთ მეფე, რომელსაც აუჯანყდა დემეტრე დავითის ძე.
- (1) **38.2.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ წყაროს ავტორი იცნობდა ძველი ბერძნების კულტურას?
- (1) **38.3.** წყაროს მიხედვით, რატომ გადაწყვიტა მეფემ ისეთი ლაშქრობის მოწყობა, „რომელიც აქამდე არავის ენახა“?
- (1) **38.4.** როგორ გესმით მემატიანის სიტყვები, „მეფემ მტრებს მათი საქმეების შესაფერისი მისაგებელი მიაგო“?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **38.5.** ვის (მეფისა თუ დემეტრეს) მხარეს იბრძოდნენ ჩრდილოკავკასიელები? აუცილებლად დაწერეთ წყაროში არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

(1) **38.6.** წყაროს მიხედვით, რამ გამოიწვია დაპირისპირება უფლისწულ დავითსა და მამამისს შორის?

(1) **38.7.** თქვენი აზრით, რატომ დასჭირდა მეფეს შვილის ტახტზე ასაყვანად „პატრიარქის და ეპისკოპოსების, იმერი და ამიერი დიდებულების, ვაზირების, სპასალარებისა და სპასპეტების“ თანადგომა?

(2) **38.8.** წყაროს მიხედვით, ვინ მიიღო მეფემ „ტკბილად და სიყვარულით“ და თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (2) **38.9.** სრულად ჩამოთვალეთ, რა დანაშაული ჩაიდინა, მემატიანის აზრით, დავითმა.
- (2) **38.10.** იმ დროს არსებული ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, ვინ იგულისხმება „ქრისტეს რჯულის მოწინააღმდეგეებში“ და კონკრეტულად რაში გამოიხატა მათი დამარცხება?
- (2) **38.11.** წყაროს მიხედვით, რომელ ქვეყანაში ეძებდნენ დახმარებას აჯანყებულები და თქვენი აზრით, რატომ ვერ მიიღეს ეს დახმარება?
- (2) **38.12.** შეაფასეთ ივანე ორბელის როლი სამეფოს გაძლიერების საქმეში. აუცილებლად მოიტანეთ წყაროზე დაყრდნობით არგუმენტები საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)